

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 060702

ქვეპროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2016 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	60,000
სულ ბიუჯეტი:	60,000

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა ცხოვრების ხარისხის და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის აღწერა:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მონარტვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით. გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ ლეზულობს შესაბამისი კომისია, რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ფარგლებში სავარძელ-ეტლის გაცემისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100ა, სადაც მითითებული უნდა იყოს სავარძელ-ეტლის საჭიროება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- სავარძელ-ეტლის ღირებულების წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში)

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირებზე სავარძელ-ეტლების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მოსახურება.	200	300	60,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			60,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X

წარმოდგენილი განცხადებების განხილვა კომისიაზე	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა სოციალური პირობების ნაწილობრივი გაუმჯობესება, გადაადგილების მოთხოვნის დაკმაყოფილება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
<p>ბენეფიციართა სოციალური პირობების ნაწილობრივი გაუმჯობესება, გადაადგილების მოთხოვნის დაკმაყოფილება სავარძელ-ეტლებით</p>	<p>ბენეფიციარების რაოდენობა</p>	<p>200</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი</p>	<p>წელიწადში ერთხელ</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>	<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი</p>